მომსახურების ხელშეკრულება № 14-20.02

20 თებერვალი 2014

ქ. თბილისი

ერთის მხრივ **ა(ა)იპ ,,ენჯი საქართველო"** ს/კ. 404940310. წარმოდგენილი მისი დირექტორის – ლევან ბუთხუზის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" და მეორე მხრივ **სსიპ ლემშვენიერას საჯარო სკოლა**, საიდენტიფიკაციო ნომერი: 226530126 , წარმოდგენილი მისი დირექტორის: **გულნაზი ჭელიძის** სახით.

ორმხრივი ურთიერთობის საფუძველზე აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" ყოველთვიურად მიაწოდოს შემსყიდველს ჟურნალ „National Geographic საქართველო"-ს, 2014 წლის მარტიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით, ასევე მიაწოდოს 2014 წლის იანვარი თებერვლის ნომერი და 2013 წლის 12 ჟურნალი.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდული საქონლის ღირებულება შეადგენს **72.00+50.00** ლარს. **სულ საქონლის ღირებულება შეადგენს: 122** (ას ოცდაორი) ლარს.

2.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ინვოისის მიხედვით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 „შემსყიდველი" ვალდებულია წინასწარ აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;

3.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია უდანაკარგოდ და დროულად მიაწოდოს ხელმომწერს გამოცემა.

3.3 გამოცემის დახურვის შემთხვევაში მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას უკან დაუბრუნოს ხელმომწერს მიუღებელი გამოცემის საფასური.

3.4 გამომცემლის მიზეზით გამოცემის დაგვიანებით გამოსვლის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა გამოცემის გამოსვლამდე.

4. მომსახურების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია დაიწყოს ჟურნალის მიწოდება 2014 წლის მარტიდან და დაასრულოს 2014 წლის დეკემბერში.

4.2 მიწოდების ადგილია: გარდაბანი, სოფ. ლემშვენიერა

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 20.02.2014 წლიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

6. მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი: ა(ა)იპ "ენჯი საქართველო"
ს/კ 404940310
მის: რუსთაველი გამზ#3
ს.ს. საქართველოს ბანკი
კოდი: BAGAGE22
მიმღები: ა(ა)იპ ენჯი საქართველო
ა/ა: GE16 BG00 0000 0629 9354 00

დირექტორი: ლევან ბუთხუზი

შემსყიდველი: სსიპ ლემშვენიერას საჯარო სკოლა
ს/კ 226530126
მის: გარდაბანი, სოფ. ლემშვენიერა
ს.ს ,,ლიბერთი ბანკი"
ა/ა: GE06LB0121112154384000

დირექტორი: **გულნაზი ჭელიძე**